



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 10 ივლისი, 2020 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: Zoom -ის ფორმატი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
5. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია „ტოლერანტი“
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

- ✓ ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრების დაგეგმვა
- ✓ პროგრამული მხარდაჭერის განხორციელების საკითხი - მეორე ნაწილი
- ✓ ახალი წევრების მიღება
- ✓ სექტორული შეხვედრების დაგეგმვა

- ✓ ჯგუფის კოორდინატორების მიერ პოზიციის დოკუმენტების მომზადების საკითხებზე შეთანხმება
- ✓ სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა. მან მმართველი კომიტეტის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

დღის წესრიგის გათვალისწინებით, განიხილეს ჯგუფის შეხვედრების დაგეგმვისა და ჩატარების საკითხი. ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ყველა სფეროზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სამუშაო ჯგუფებმა პანდემიის პირობებში, Zoom-ის ფორმატის დახმარებით არაერთი სამუშაო შეხვედრა გამართეს. მნიშვნელოვანია რომ აქტიურად გაგრძელდეს შეხვედრების ჩატარება სამუშაო ჯგუფებთან სხვადასხვა მნიშვნელოვან და მიმდინარე საკითხებზე. საკოორდინაციო საბჭომ ჩამოაყალიბა იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა იქნას განხილული სამუშაო ჯგუფების მიერ. ასევე გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებზეც მნიშვნელოვანი იქნება სექტორული შეხვედრების ჩატარება. კორონავირუსის გავლენა ყველა სექტორს შეეხო, შესაბამისად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ როგორია დღეს არსებული მდგომარეობა სხვადასხვა სექტორში და ასევე როგორ მოხდა სამომავლო გეგმების ფორმირება. მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე ისაუბრეს მედიაში მიმდინარე პროცესებზე. ასევე განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში არსებულ გამოწვევებზე. ეროვნული პლატფორმის სამდივნო, უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე სექტორული შეხვედრის ჩასატარებლად.

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები მუშაობენ პოზიციის დოკუმენტებზე. ისინი ჯგუფის წევრებს, უახლოეს ჯგუფის შეხვედრაზე წარუდგენენ პოზიციის დოკუმენტის სამუშაო ვერსიას და ერთად იმუშავენ ამ დოკუმენტის სრულყოფასა და დამტკიცებაზე.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამული მხარდაჭერის პირველი ნაწილი. საპროექტო განაცხადების შერჩევის პროცესი დასრულებულია. შემფასებელმა კომისიამ განიხილა შემოსული საპროექტო განაცხადები. სულ, პროგრამული მხარდაჭერის პირველი ეტაპის ფარგლებში, შემოვიდა 7 საპროექტო განაცხადი. შემფასებელმა კომისიამ დადებითად შეაფასა და დაამტკიცა 4 მათგანი. შესაბამისად, გაფორმდება ხელშეკრულებელი კუალიციური პროექტების პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და დაიწყება პროექტების განხორციელება. ამასთან საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა პროგრამული მხარდაჭერის მეორე ეტაპის გამოცხადების საკითხზე. უახლოეს მომავალში, პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს ეცნობებათ თუ როდის და რა ვადებით გამოცხადდება მეორე ეტაპი.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს, კოალიციაში გაწევრიანების სურვილით მიმართა არაერთმა ორგანიზაციამ. მათ წარმოადგინეს ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც წესდებით არის გაწერილი. საკოორდინაციო საბჭომ განიხილა მათი გაწევრიანების

საკითხი. საბოლოოდ, პლატფორმის წევრი ორგანიზაციების რაოდენობა 8 წევრი ორგანიზაციით გაიზარდა.

1. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
2. საქართველოს ტურიზმის ასოციაცია
3. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა
4. ირის ჯგუფი - მრავალფეროვნების მართვა
5. სოციალური მონიტორინგის ცენტრი
6. სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი
7. ასოციაცია ჰერა
8. ვორლდ ვიჟენი საქართველო

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე